პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— იანვარი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში გაგრძელდეს ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


1:2,500
X=490809 Y=4618019
ვიქტორ კუპრაძის ქ.
X=490388 Y=4617772
X=490414 Y=4617776
X=490357 Y=4617719
X=490277 Y=4617779

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

17 / დეკემბერი / 2025 წ. 06-032535131-03

KA011798431334925

№ **287261**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 12 დეკემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს") წარედგინა მალხაზ ლელაძის (პ/ნ: 09001002368, საკონტაქტო ინფორმაცია: 599552831) № M25016346 განცხადება. განცხადებით მთხოვნილია უძრავ ნივთზე საკადასტრო კოდით 01.19.39.004.002 ნუმერაციის მინიჭება/მისამართის დაზუსტება. ამასთან, მიმდინარე მომენტისთვის მითითებულ უძრავ ნივთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საიდენტიფიკაციო მონაცემად აღრიცხული აქვს ჩანაწერი: „ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულებით მიმავალი გზების კვანძის მიმდებრედ (ნაკვეთი 004/001)".

სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთთან მისასვლელი გზის მონაკვეთი არ არის სახელდებული კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ შესაბამის უძრავ ნივთთან მისასვლელი გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესაძლებლობა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, უზრუნველყოთ მისი სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საჯარო
რეესტრის
ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
სიტუაციური ნახაზი

N

განცხადების ნომერი	M25016346
მომზადების თარიღი	17.12.2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0326021119**
თარიღი: **21/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 17 დეკემბრის საქმე #06-032535131-03 დაკავშირებით, რომლითაც მალხაზ ლელაძის N M25016346 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია მისამართის დაზუსტება (ს.კ. 01.19.39.004.002) . გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ვიქტორ კუპრაძის ქუჩის გაგრძელების სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01260231728**
თარიღი: **23/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 21.01.2026 წლის # 03-0326021119 (21.01.2026წ. #14-01260213742-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი